26 მაისს (7 ივნისი) 1867. № 21. მეოთხე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: — — — 6 მან.
ერთის წლისა — 7 მან. — — — 3 — 50 კ.
ნახევრის წლისა — 4 — — — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი: მმართებლობის განკარგულება.—უოველად უმოწყალესად ნაბოძებნი ჯილდონი სამხედრო უწყებაში 16 აპრილს 1867 წელს.—შოჩტის ეკიპაჟების დაწესებულების უმთავრესი კანტორისაგან. პოლიტიკა.—პრუსსია.—იტალია.—ამერიკა.—მეხიკა. ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი:—თვით-მოქმედება. ქერძოობითი განცხადება.

მმართებლობის განკარგულება.

უოველად უმოწყალესად ნაბოძებნი ჯილდონი სამხედრო უწყებაში 16 აპრილს 1867 წელს.

ორდენები: თეთრი არწივისა ებოძა: კავკასიის გრენადერის დივიზიის ნაჩალნიკს გენერალ-ადუტანტს ბარონ ნიკოლაის, რომელიც მდგომარებს მისს იმპერატორების უმაღლესობასთან განსაკუთრებითი მინდობილებისათვის, გენერალ-ლეიტენანტებს: თავ. დადიანს მეორეს და თ. ანდრონიკაშვილს 2-რეს. წმინდა ანნა 1-ლი ხარისხისა იმპერატორის გვირგვინით: გენერალ-მაიორს, კავკასიის სამხედრო ოკრუგის პოლევოი აუდიტორიატის თავს-მჯდომარეს თ. თუმანოეს 1-ლს, ორდენზედ მახვილებით. იგივე ორდენი, იმავე ხარისხისა დაუშვენებლად: ტფილისის კამენდანტს, გენერალ-ლეიტენანტს აპაჩინინს, გენერალ-მაიორს, კავკასიის აქეთის და შუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს ადგილობრივის ჯარების უფროსს ოკლობჟიოს—ორდენზედ მახვილებით; კავკასიის გრენადერის არტილლერიის ბრიგადის კამანდირს მამაცაშვილს—ორდენზედ მახვილებითა. წმინდა ვლადიმერის 3-მე ხარისხისა: ორდენზედ მახვილებით, გენერალ-მაიორს, კავკასიის გრენადერის დივიზიის ნაჩალნიკის თანაშემწეს, სეეჩინს და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს მინკევიჩს.

შოჩტის ეკიპაჟების დაწესებულების უმთავრესი კანტორისაგან. უმთავრესი კანტორა საყოველთაოთ გამოაცხადებს, რომ ამ მაისის თვის 21-სრიცხვიდგან ზაფხულის განმავლობაში, შარშანდებულად, წელსაც ეკიპაჟები ბორჯომს დაიწყებენ სიარულს. ეკიპაჟები კვირაში ერთხელ გაელენ: ტფილისიდგან კვირაობით, დილის 6 საათზედ, ხოლო ბორჯომიდგან გამოვლენ ოთხშაბათობით, დილის 10 საათზედ.

ახალქალაქიდამ (ბორის უეზდში) გვაცნობებენ, რომ ახალქალაქელ მღედელს, ტერ-ოჰანეზ-ტერ-ბალუსტას უფასოთ აქვს ახალქალაქში შკოლა, სადაც ასწავლის სამს ენას: რუსულს, სომხურს და ქართულს.

ჩვენ გეიყვარს მშობლიური თეატრი, და როგორც იქ წასელა ჩვენთჳს სასიამოვნოა, ისე სასიამოვნოა საუბარიცა იმაზედ...

ჯერ პირველად ითამაშეს „მაიკო.“ პირველისავე ფარდის ახდით ჩვენ დავინახეთ სცენაზე გამოყვანილნი პირნი ქართულის სახელებით, ქართულად ჩაცმულ-დახურულნი, ქართულ ენაზედ მოლაპარაკენი. რასაკვირველია მოველოდით, რომ თვით ქცევაც, ზნეც, სიტყვა-პასუხიც იქმნებიან ქართულნი. მაგრამ საკვირველი იყო: სამჯერ აეშვა და დაეშვა ფარდა, სამმა მოქმედებამ გაიარა, ხან და ხან წამოვიდოდა ტაში უკანა რიგობის სკამებიდგან, მაგრამ ნახევარ გზაზედვე შესწყდებოდა; გამოუძახიდნენ თვით მოთამაშე პირთაც, მაგრამ სულ თითქოს იძულებით. მცქერელნი ერთმანერთს გადაჰხედვიდნენ და თითქოს ჰკითხვიდენ: თუ ეს ქართული პიესაა, რასში ეტყობა ქართულობა.—ბიორგი ერისთავი მეტად გათქმული მწერალია, იმისი ნიჭი ნამდვილის ცხოვრების გამოხატვისა მეტად გამოსაცნობია, იმისი ხუმარობა და ენა მეტად საყვარელია ხალხისათვის, რომ ვისმეს დაეჯერებინა, რომ „მაიკო“ იყოს იმისი ნამდვილი თხზულება. მს დასაჯერებელი არ იყო, და საზოგადოება სრულიად მართალია, რომ არც დაიჯერა. ჩვენ კი დარწმუნებით ვიცოდით და ვიცით, რომ ხსენებული დრამა, თუმცა დაფუძნებულია ვითამც ქართულ სუჟეტზედ, მაგრამ არის ტრიქონ-ტრიქონ რუსულიდგან ნათარგმნი.

ამ ოც და ათის წლის წინად ჰსცხოვრებდა ქალაქს ბორში რუსის მწერალი, პაველ ქამენსკი, რომელმაც დასწერა მოთხრობა, წოდებით „მაიკო“. ამ მოთხრობაში ქამენსკიმ გამოიყვანა მოტაცება ერთის თავადიშვილისაგან ვაჭრის ქალისა; ამასთან, როგორც უიმისოთაც არ იქნება, მართალი მოგონილთან აურია, და, სხვა თხზულებათა შორის

პოლიტიკა.

პრუსსია. ბერლინელი მუშების მშვიდობის-მოყვარე ადრესი. ერთ ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ადრესი, რომელიც უმთავრესმა ასოციაციამ ბერლინის მუშებისამ გაუგზავნა ფრანცუზულ მუშებსა: „ფრანციის ხალხს! ძმანო, ფრანცუზულნო მუშაკნო! ლუქსემბურგის მომართობა ბერმანიასთან ასეთ საქმეთ შეიქნა, რომ მიუცილებლად იმან უნდა დაჰბადოს ომიანობა; ეროპის ხალხების უმეტესს ნაწილს ამისი ეშინიან. ამასთანავე ამ საქმემ მისცა შემთხვევა ორს სხვა და სხვა ხალხს, მეგობრულის თანხმობით ისურვონ დაბოლოვება იმ უკმაყოფილებისა, რომელიც ამ საქმის გამო აღიძრა იმათ შორის. ჩვენ, ბერლინის მუშა ხალხმა განვიზრახეთ ერთჯელ კიდევ გამოვაცხადოთ, რომ მშვიდობიანობა მტკიცედ დაცულ იქმნას. ამ ჩვენ სურვილს მთელი ფრანციის ხალხის წინ ვაცხადებთ. ფრანცუზებო! ვიფიქროთ იმაზედ, რომ ხალხები საზოგადოთ ძმები შეიქმნენ ერთმანეთისა და შეეიძულოთ ომი, იმისგან მოტანილი უბედურება და ცოდვის-კითხვა. თვალითაც ნუ დავინახავთ ომსა, რომელიც არის მემკვიდრე სასტიკის საშუალო საუკუნოებისა. იმისგამო ყოველგვარი მოხელობა შეჩერდება ხოლმე და ჩირქს აცხებს ჩვენი დროების ლიბერალურს მოწადინეობას. სამოხელონი კაცობრიობის ტაძრებია, სადაც ყოველი კაცი მშვიდობიანი და ზნეობითი საჭურველით არის შემოსილი; ის ხმაროს ყოველს თავის ღონესა, რომ გაიმარჯვოს უკვდავმა სიმართლემ, სამართალმა და მშვენიერებამ. აი აქ არის ჩვენი ბრძოლის ასპარეზი! ძმანო, ფრანცუზებო! იმედი გვაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებული ხალხი, პატივს სცემთ ამ გრძნობას და იმოქმედებთ, რომ ერთად ვიმეცადინოთ საზოგადო კაცობრიობის ძმობის დასამყარებლად, და ის თავისუფლების დროშით დაეშურება ერთობის და მშვიდობიანობის დაფუძნებას. ბერლინის მუშების ასოციაცია, პრეზიდენტი რობერტ ქრესი. ფრანცუზულ ენაზედ ნათარგმნი პირი ამ ადრესისა უნდა გაეგზავნათ უ. ბარნიე-პაჟესთვის.

იტალია.-იტალიის კაროლის წიგნი. იტალიის დეპუტატთ-პალატაში, 8 მაისს, ყრილობის დროს, წაიკითხეს ვიკტორ-ემმანუელის წიგნი, რომელიც აი რას შეიცავდა: „საყვარელო რატაცაო! მოაწია იმ დრომ, როდესაც ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ავსტრიის წინააღმდეგ. ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, ან ერთად უნდა დავიღუპნეთ

ცა ფინანსის ცუდი მდგომარეობა უნდა გამოკეთდეს კეთილ-გონიერი მომჭირნეობის საშუალებითა. რადგანაც სახეში ესა მაქვს, რომ საფინანსო მინისტრი პარლამენტს ურჩევს, რომ ყველა გასამგებო ნაწილებში გასაეალი ბევრათ შემცირდეს, მე ვისურვე, რომ ხალხს პირველმა ვუჩვენო ამის მაგალითი და განვიზრახე იმ ფულიდგან, რომელიც სჯულით განწესებულია ჩემი სასახლის სახარჯოთ, ოთხი მილიონი მოვიკლო.

„იმედი მაქვს, რომ ყველა ნაწილი სახელმწიფო გამგეობისა მიბაძავს ჩემს მაგალითს და შესწირავენ სხვერპლს, რომელიც ძლიერ საჭიროა ფინანსის შერყეული მდგომარეობის გასასწორებლად. იმედი მაქვს, რომ ამ სხვერპლის შემწეობით და იმ საშუალების მოხმარებით, რომელიც აწ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლათ, მალე შეიძლება დამყარდეს სწორ-შეწონილება სახელმწიფო შემოსავალსა და გასავალს შუა; ესე იგი შეიძლება შემოსავალი უდრიდეს გასავალს. სხვათა შორის საჭიროდ ვრაცხ მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელიც მე თქვენ სიტყვით გადმოგეცით, და რომელნიც თქვენ უნდა პარლამენტს გადასცეთ, ჩემი სასახლისთვის განწესებული სახარჯო ფული რამოდენისამე წლის განმავლობაში 6 მილიონამდე შემცირდა. მსურს, რომ მომავლის წლისათვის სწორი მიმართობა დაწესდეს ჩემი სასახლის სახარჯო ფულის შემოსავალსა და გასავალს შუა. თქვენ შეგიძლიანთ ეს აზრი მოიხსენოთ იმ სჯულის პროექტში, რომელსაც ჩემი სახელით წარუდგენთ პარლამენტს დასამტკიცებლათ.

„მიიღეთ ეს თქვენდამი გამოთქმული ჩემი გულითადი მეგობრობა წრფელი გულით; თქვენი მოყვარული

„მიკტორ—ემმანუილი“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ. მაქსიმილიანზედ დავარდნილი ხმა. ერთი ანგლიის გაზეთის კორრესპონდენტი, 19 აპრილს, ვაშინგტონიდგან აი რას იწერება: „იმპერატორ მაქსიმილიანზედ ძალიან ვშიშობდი, რადგან ვიცოდი შეუბრალებელი ხასიათი მეხიკელი ლიბერალების ჯარისა.

„ეს ჯარი ბევრით არ გაირჩევა ველურ კაცებთანა. იმედი არა მქონდა, რომ ჯ. სუარდის შუამდგომლობა მოხმარებოდა იმპერატორს ამ შემთხვევაში. მაგრამ დღეს დილას ერთმა კაცმა, რომელიც, ის იყო მატამორასიდგან მოსულ იყო, დამარწმუნა, რომ ლიბერალები დამარცხდნენ და ქვერეტაროდგან უნდა გასულ იყვნენო. ახლა თქვენ ყურადღებას მივაქცევ სხვა უფრო შესანიშნავს დიპლომატურს საქმეზედ. ეთრმა ამერიკელმა გაზეთმა, რომელიც სუარდის ორგანია, ძალიან მწუხარეთ აწერა ანარხიული მდგომარეობა მეხიკისა.

„იმან წარმოსთქვა, რომ არავითარი იმედი არ არის, რომ ლიბერალებმა ისევ აღადგინონო წესიერი სახელმწიფო დაწყობილება; სხვათა შორის ის ამბობს ამ სიტყვებს: „იქაური საქმე ახლა ჩვენ უნდა აეხსნათ; გვაქვს თუ არა ამ მხარეზედ რაიმე წინათ—მოაზრებული განზრახვა? მიუკილებლად ეს საქმე უნდა გადაწყვიტოს კონგრესმა მომავალს სესიაში“. ეს სიტყვები ცოტათი მაინც შეგვატყობინებენ, თუ რას უნდა მოელოდეს მეხიკა ამ ცოტა ხანში. მეხიკა უნდა ჩაყლაპოს შეერთებულმა შტატებმა. ახლა ჩვენ ეს უნდა ვიკითხოთ: შეერთებული—შტატები ნაწილ-ნაწილათ მიისაკუთრებს იმას, თუ ერთიანათ ჩაყლაპავენ!

—მეხიკიდგან გვაცნობებენ, რომ იმპერიალისტებს ამარცხებენო. ახლა ნამდვილათ დარწმუნდნენ, რომ პუებლო აუღიათ ლიბერალებს. ამ ალებაზედ ძალიან ცხარი ბრძოლა მომხდარა და ორივე მხარეზედ სამი ათასი კაცი გაწყვეტილა. ამ გვარისავე სისხლის ღვრით აიღეს ზაკატეკასი. პუებლო რომ აიღეს, პორფირიო დიაცმა გასცა ბრძანება, რომ დახოცონ ყველა აფიცრები, რომელთაც პარუჩიკზედ მომეტებული ჩინი ჰქონდათ, რადგან გარნიზონი დიდხანს არ დანებდა. ამ გვარათ სამოცდა სამი აფიცერი მოკლეს. ამ გვარი შეუბრალებლობა ყოველს ჯარს შეაშინებს და ქვერეტაროს რომ აიღონ, იმპერატორი მაქსიმილიანის სიცოცხლე დიდს შიშს ქვეშ ჩავარდება, თუ ვინიცობაა ის შეიპყრეს. ლიბერალებმა სამი ათასი კაცი კიდევ მიახმარეს იმ კორპუსსა, რომელიც შემოადგა ვერა-ქრუცს ასალებად. ვერა-ქრუცის გარნიზონს კაცი გაუგზავნეს, რომ ის დანებებულ იყო. ახლა უსაცილოდ ქვერეტაროს უნდა იყოს ჯარით შემოკრული, რადგან, რაც პუებლოში ჯარი ჰყავდა, დიაცმა თითქმის ყველა იქ გაგზავნა. იმან ეს იმ განზრახვით მოახდინა, რომ ქვერეტაროსა და სატახტო ქალაქს შუა გზა შეეკრა და იმპერატორს მაქსიმილიანეს აღარსაით წასვლა არ შესძლებოდა. შეერთებულ-შტატების მმართებლობა არა ვითარს შუადგომლობას მაქსიმილიანზედ აღარ კისრულობს, მინამ ის არ შეიტყობს, თუ რა მოქმედება ჰქონდა წინადელს იმის შუამავლობას.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ,

პეტერბურგში მიღებული.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 22 აპრილს (4 მაისს). საბერძნეთის მმართებლობა გულ-მოდგინეთ შეუდგა სამხედრო მზადებას, და უნდა მიუმატოს 30 ათასი კაცი. შეერთებულს შტატებში და ანგლიაში შეკვეთილია შვიდი ჩაჩქან—მოსილი გემი. სავაჭრო ხომალდების მეგემე ებიდგან ბევრნი გადაიყვანეს სამხედრო ფლოტზედ.

ᲡᲛᲘᲠᲜᲐ, 23 აპრილს (4 მაისს). ფრანციის უმთავრესის კონსულის მოთხრობილებაზედ, ხიოსის კუნძულის გუბერნატორ-ჯარჰყოფს მისცეს დაკმაყოფილება ქალთა-ოსმანის კათოლიკების სახლში შევარდნისათვის.

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ, 27 აპრილს (9 მაისს). მინისტრმა გამოუცხადა პალატას, რომ 18 (30) მაისს მოხდება ვიკტორ-ემმანუილის მეორე შვილის, ღერცოგის აოსტის დაქორწინება, და წაიკითხა კაროლის რესკრიპტი, რომელშიაც ის, საკაროლო ფინანსების დაბრკოლების გამო, ხელს-იღებს 4 მილლიონს ფრანკზედ, რომელიც ყოველწლივ ეძლეოდა იმის სასახლეს სახელმწიფო ბუჯეტიდამ.

ᲜᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 (14) მაისს. მეხიკიდამ იწერებიან, რომ მაქსიმილიანეს ჯარები დამარცხებულან და გენერალი მირამონი მოუკლავთ.

ცნობა მაქსიმილიანეს მეხიკიდამ გაქცევაზედ მართლდება.

Ტფილისში მიღებული.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 18 მაისს. ხელმწიფე იმპერატორი საზღვარს გარეთ წავიდა; ის 16 მაისს ბერლინს მიბრძანდება; იქიდგან 18 მაისს რამოდენიმე ხნით ხელმწიფე იმპერატორი წარბძანდება პოტსდამს, სადაც იმყოფება პრუსიის კაროლი, რომელიც პარიჟს მიდის.—ელლინების (ბერძნების) კაროლი ზღვით მოაბრუნდება პეტერბურგს 19 ან 20 მაისს.

როგორც ვენის გაზეთი Presse ამბობს ომერ—ფაშის დამარცხების შემდეგ რუსეთი და შრანცია აპირებენ მიიპატიჟონ სახელმწიფოები, რომელთაც პარიჟის ტრაქტატზედ ხელი აქვთ მოწერილი, რომ პორტას ერთათ გაუგზავნონ ნოტა. ამ ნოტით იმათ პორტას უნდა მოსთხოვონ, რომ კანდიის საქმე მცხოვრებლების საყოველთაო ხმის მოკვეთით გადასწყდეს.—ნუ—იორკიდან 3 მაისს იწერებიან, რომ მეხიკის რესპუბლიკელებმა ქვერეტარო აიღეს. იმპერატორი მაქსიმილიანე და

თაც ჰსცხოვრებს დედა შენი; შენა ხარ გრილი ჩრდილი, რომლის ქვეშაც დაღალული დაისვენებს.“—წერეთელი (ვაჭარი ზიგო) თითქოს თვითონვე წითლდებოდა, როცა იქადოდა: „მე იმას (ვახტანგს) გავჩეხამ შუაზედ და ძელებს გადაუყრი ძალღებსა“.—ავალის შვილს (ვახტანგს) ეცინებოდა, ეუბნებოდა რა მაიკოს: „არის შემთხვევა, როცა კაცი გაჰსწყვეტავს ბორკილს პატიოსნებისას, და ცეცხლი სიყვარულისა დაანაცრებს ხალხთა ჩვეულებასა და ჰსჯულსა წინააღმდეგ შემთხვევაში“; ანუ: „მეხიკიდგან ჩამოვარდნილი აღარ აბრუნდება ცაში, წყალი მთის წვერით ჩამოქანებული აღარ მიიქცევა მთაში.“—მხოლოდ აბრამიანცი, რომელიც თამაშობდა მაიკოს, ძეტად ბეჯითად მიეცემოდა თავის როლს და არაფერში იმას არა ჰლალატობდა: რა ტანზედაც მაიკო იყო გამოჭრილი, აბრამიანცი იმას ისე წარმოადგენდა. ის იყო ლუჩია, ანუ ელვირა—ისიც მჭრალი, უგვარო მიბაძავა, და არა ზორის ვაჭრის ქალი, მაიკო. აბრამიანცი უმეტესად შესანიშნავი იყო, როცა ადგენდა შეშლილს: თავში შველი, თმებ-გადაყრილი მხრებზედ, თეთრის გაზის კაბით, იგი სცენაზედ აქეთ-იქით ეცემოდა და იხატებოდა, თითქოს ოპერაშიაო... სხვა მოთამაშენიც რომ ასე წატაცებულნი ყოფილიყვნენ თავიანთის როლებითა, ვიცინებდით მაინც....

საზოგადოებამ, დაღალულმა, დამძიმებულმა თითქოს რაღაც უგემურის ძილით, დაისვენა მარკევიჩის სკრიპკაზედ. შმჯობესი დამამშვიდებელი და დამატკბობელი არა იქნებოდა რა, როგორც მოსმენა არა დიდის შიეტანის პიესისა „Fantaisie caprice“, რომელიც დაუკრა, დიდის გრძნობით და კელოვნებით, ახალგაზდა მარკევიჩმა და იმით გამოაფხიზლა და აღტაცებაში მოიყვანა სრული საზოგადოება. მარკევიჩის სკრიპკას დაეხმარა, ფორტოპიანის დაკვრით, იმისი და, უფლის უ—ნის მეუღლე. ესრეთი დახმარება არ იყო აფიშაში გამოცხადებული, მოხდა ჩვენთჳს სრულიად მოულოდნელად, და ამიტომ უფრო გამოუთქმელად ვმადლით ძმასაც და დასაც, რომ თავიანთის არტისტულის მონაწილეობით თითქმის სული ჩაუდგეს სპექტაკლს და ჩვენც მოგვცეს დაუვიწყარი სიამოვნება....

ბოლოს ითამაშეს „ᲗᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ.“ საზოგადოებამ დიდის თანაგრძნობით მიიღო ეს მშვენიერი კომედია ანტონოვისა. მაგიდგან ბოლომდინ განისმოდა ზალაში შეუწყვეტელი ტაშისკვრა და სიცილი,—ის ჯანიანი ტაშისკვრა და გულიანი სიცილი, რომელიც არა ბევრს თეატრის მწერალს შეუძლია ასტეხოს და აღძრას კაცში. აი რას ნიშნავს ისი, როდესაც მწერალი არ გამოუდგება თვალ დახუჭვით მიბაძვას და აღრჩეულს ცხოვრებიდგან საგანს წარმოაელენს ისე, როგორც არის ის ნამდვილად. რასაკვირველია საჭიროა, რომ ჰქონდეს იმას ნიჭი აღრჩევისაც და წარმოელენისაც. უნდა ვჰსთქვათ, რომ ანტონოვის პიესა არ არი არც მეტად ღრმად ნაფიქრები და არც დიდის დრამატიკულის მოძრაობით საესე. მაგრამ რაც არის იმასში, არის იჭვ-გარეთ მართალი: ეს გრძნობა, ეს ფიქრები, ეს ლაპარაკი უსათუოდ ეეუთვნიან იმ პირთა, რომელნიც პიესაში არიან გამოყვანილნი.—ზორის გოროდნიჩს მოსვლია ამბავი, რომ მალე ჩამოიელიან ტიეით ოპერი მოგზაური ლიტერატორი, და ფაცა-ფუცში შედის თუ როგორ მიიღოს ეს განსხვავებული და იშვიათი სტუმრები. ამ დროს იმასთან არის ჩამომხტარი სოფლიდგან ჩამოსული იმისი ბიძა, ზოგია, მოხუცებული თავადი-შვილი, ქცევით, გაგებით, ენით, ტანთჩაცმით— ერთიან თავით-ფეხამდინ ძველებური ქართველი. ძმის-წული განუმარტავს ბიძას სტუმრების მნიშვნელობას და ჰსთხოვს, რომ ამისთანა მსწაველულ და განათლებულ გვამებთან ფთხილად მოიქცეს და ლაპარაკში მომატებული არა გამოუტრიოს რა. ბიძა ყურს არ უგდებს ამ გვარ დარიგებას, იმას არაფრად მიაჩნიან განათლებული სტუმრები, და, მეტად ერთგული, მეტად თაყვანის მცემელი თავის დროსი და თავის დროს ღირსებისა, მოჰსთვლის თუ ის დრო რავდენის კეთილით აღემატება ახლანდელ დროსა. აგერ მოვიდნენ ლიტერატორებიც, ღრებაკოვი და იასამანიძე (თუმცა კი, როგორც დავინახეთ, ერთი იმათგანი იყო მხატვარი, მეორე ადგილების აღმწერი). აგერ შეხვდნენ პირის-პირ ორის დროს, ორის მიმართულობის წარმომდგენელნი თავიანთის განსხვავებულის თჳსებებითა. ამ ორგვართ ტიპთ შეყრაზედ ტრიალებს მთელი პიესის ინტერესი, და სხვაც საჭირო არა არი რა, ესეც საკმაოა, უკეთესი სანახავი არა იქნება რა.—ჩვენი ახლანდელი საზოგადოება წარმოადგენს მეტად შესანიშნავ სანახავს: ერთი თაობა სრულდება, მეორე იწყობა. ეს არ არი ჩვეულებრივი გარდასელ-გარდმოსელა. აქ იწარმოების სრულიად სხვა პროცესი: ერთი ისტორიული ცხოვრება ჰსთმობს თავის ადგილს მეორეს ისტორიულ ცხოვრებას. ძველის კაცების გარდასვლით აღიხოცებიან ძველის დროს ხასიათნი, ზნენი, გაგებანი, თჳთ ტანთჩაცმულობაც, და ყოველივე ესე ჰშთება მხოლოდ ერთს ისტორიულს მოგონებად. ახლის კაცების მოსვლით მყარდება ყოველივე ახალი. ამისათჳს, მანამ ერთი სრულიად არ აღხოცილა და მეორეც სრულიად არ დამყარებულა, მანამ ღრმა ხაზი იმათ შუა არ გაველებულა და ძველი სახეები ჯერ თვალთაგან სრულიად არ მიგვეფარვიან და, შერეულნი ახალ სახეებთან, წარმოგვიდგენენ მიმზიდველ სურათს,—სანატრელია, რომ თეატრის მწერალმა აღირჩიოს ეს შესანიშნავი დრო თავის ქმნილებათათჳს. რავდენ ნაირი, ფერად-ფერადი, ხელმოსაველები საგანი წარმოუდგება იმას. თუ რომამასთანავე მოჰსდგამს ჰეშმარიტი შენიშვნის ნიჭიცა, ქმნილება იმისი იქნება დაუდარებელი და საესე ძვირფასის სურათებითა; ამ ქმნილებას ექნება არამც თუ მხოლოდ მაღალი დრამატიკული ღირსება იმით, რომ ახლანდელს ჯერ დაუბინაევებელს საზოგადოებას დაანახვებს, როგორც სარკეში, ყოველსავეს, რაც კი კარგი თუ ავი ეთვისება ძველსა და ახალს დროსა და რომელიც ეხლა, ამ ფორთენაში, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გაგვირჩევია, არამედ ექნება დიდი ისტორიული მნიშვნელობაცა, ამიტომ რომ იმასში შენახულ-დამთებიან მომავალთ ტომთათჳს ნამდვილი ეპოხის სახეები ისე, როგორც შენახულ-ქმნილან ისინი ფონ-ვიზინის, ბრიბოედოვის და ზოგოლის ქმნილებათა შინა. ამას კი გულითადათ ვჰსწუხთ, რომ აქამომდე მარტო სულ ორი თეატრის მწერალი გეყოლია—ზიორგი ერისთავი და ანტონოვი, და ისიც თითქოს იმათით გათავებულა ეს მწერლობა, მაშინ როდესაც არ გათავებულა და არ ამომშრალა ის წყარო, რომელიც ჯერ კიდევ კარგა-ხანს მოჰსცემს თავის უხვ სასმელს დრამატიკულ მწერლებს,-მაშინ როდესაც მდიდარი სურათები ჯერ ისევ წინ გვიდგანან, ერცელი ენა არ გაღარიბებულა, მოხდენილ ხუმაროობას არ მიჰღებია ძალა, და გვეგულებიან კიდეც ზოგი ერთნი ნიჭიანნი მწერალნი.... დაჰსჩქარდნენ, აღბეჭდონ, რასაც თვალი ჰხედავს და თითქმის ესმენება, და ჩვენც არ დავიშურებთ იმათთჳს იმ ჯანიან ტაშს, რომელიც ღირსეულად ვუძღვენით, გულიან სიცილთან, ზემოხსენებულ ანტონოვის პიესას. ამ გვარი პიესა მადლიანია თჳთ მოთამაშე პირთა-თჳსაც, ამიტომ რომ, თავისის ნამდვილობით, გაუადვილებს იმათ თამაშობას. ამისი მაგალითი დავინახეთ იმავ ანტონოვის თხზულებაზედ. უველანი მარჯვედ შესულ-იყვნენ როლებში და სიძნელეს არასა ჰგრძნობდნენ. წარჩინებულად ადგენდა ზოგიას მეტადრე მაღალდაძე, რომელშიაც ჩვენ ეიცანით ჩვენი ძველი ნაცნობი, უფალი ელიოზოვი, დანაშთი განსვენებულის ზიორგი ერისთავის ტრუპისა, თუმცა არ ვიცით ამ მეტად საცნობელ აქტორს რად გამოეცვალა თავისი ნამდვილი სახელი. თეატრი გათავდა დიდის სიხარულის და მადლობის გამოთქმით, და ხალხიც დაიშალა სრულიად შეწიგებული იმ ღამის წარმოდგენასთან.....

გენერალი მეხია იმათ ტყვეთ წაიყვანეს.

პეტერბურგი, 19 მაისს. ხელმწიფე იმპერატორი 19 მაისს პოტსდამიდგან პარიჟს წაბძანდა; კელნში მას მიეგებება მისი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი, რომელიც ბოპენლაგენიდგან იქ მიდის. 20-ს მაისს შაგუსტესნი მგზავრნი პარიჟს მიბძანდებიან და იქიდგან 30 მაისს შტუტგარდს წაბძანდებიან. ხელმწიფე იმპერატორის მობრუნებას პარსკი—სელოში 17 ივნისს მოელიან.

პეტერბურგი, 22 მაისს. ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მიბრძანდნენ პარიჟს 20 მაისს. რკინის გზის სტანციაზედ იმათ მიეგება იმპერატორი ნაპოლეონი. უმრავლესი ხალხი მიჰყვებოდა იმპერატორის კარეტას და დიდს სიხარულს უცხადებდა ხელმწიფე იმპერატორს. მისი დიდებაულება ჩამოხტა ელისეის სასახლეში.

უმაღლესად გაიცა ბრძანება, რომ ყველა გაუთავებელი პოლიტიკური საქმე უკანასკნელის პოლშის არეულობის გამო შეჩერდეს, ახალი გამოძიება აღარ დაიწყონ, პოლშის სამეფოში დაბადებულები, რომლებიც, იმპერიის ადმინისტრატიულის წესით, განდეგილ იყვნენ, დაებრუნონ თავის მამულში, უკეთუ ისინი კარგი ყოფაქცევისა არიან;-პოლშაშიევე შეუძლიანთ დაბრუნდნენ იმ პირთ, რომლებიც დასავლეთის გუბერნიებიდგან გაიგზავნენ.—შენის გაზეთის Presse-ის სიტყვით დიდმა სახელმწიფოებმა მისწერეს პორტას, რომ იმან კამისია შეადგინოს ქანდიის საქმის გამოსაძიებლად.

თვით—მოქმედება.

სამუელ სმაილსის თზულებიდგან.

თავი I.

თვით-მოქმედება არის საფუძველი ნამდვილი გონების გახსნისა. ხალხისთვის ეს არის ჭეშმარიტი წყარო ნაციონალური მხნეობისა და ძლიერებისა. გარეგანი შემწეობა კაცს უფრო დაასუსტებს, მაშინ როდესაც შემწეობა, დამყარებული შინაგანს ძალაზედ, განაძლიერებს იმას. ეს იმითი აიხსნება, რომ როდესაც კაცს ეძლევა გარეგანი შემწეობა, ის აღარ იმოქმედებს თავის საკუთარის სარგებლობისთვის და როდესაც კაცი იმყოფება სხვის გავლენის ქვეშ, მაშინ ის შეიქნება უძლური.

რაც უნდა კარგი დაწყობილება იყოს, ის მაინც ვერ მისცემს კაცს ნამდვილს შემწეობას. უველაზედ უკეთესი სახელმწიფოს დაწყობილება ის არის, რომელიც მომეტებულს თავისუფლებას აძლევს კაცს თავის განათლებისთვის და შეაძლებინებს იმას, რომ თითონვე გააუმჯობესოს თავისი პირადი მდგომარეობა. მაგრამ ხალხი კი ყოველთვის დაჯერებული იყო და არის, რომ იმათი ბედნიერება სახელმწიფოების დაწყობილებაზედ არის დამოკიდებული და არა თავის საკუთარს ყოფა-ცხოვრებაზედ. ეს უსაფუძვლო აზრი შეიქნა მიზეზათ, რომ სჯულთ-დების მნიშვნელობა ასე რიგათ გაადიდეს და საზოგადო პროგრესიც იმის გავლენას მიაწერეს. ეხლა კი ზოგიერთმა პირებმა სცნეს ის ჭეშმარიტება, რომ სჯულმა კერძოობითს მოქმედებას უნდა უჩვენოს მარტო საზღვარი, და თითონ არას დროს არ უნდა იმოქმედოს. ერთის სიტყვით მმართებლობამ მარტო უნდა დაიცვას: სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ამისთვის ანგლიაში ამ 50 წლის განმავლობაში უმთავრესნი ცვლილებანი იმაში მდგომარეობდნენ, რომ უწინდელი დაწესებულებაების ძალა გააუქმეს; ამისთვის, რომ არ არის იმისთანა სჯული, რომელმაც შეიძლოს უსაქმო კაცი შრომის-მოყვარეთ გახადოს, ფულების მფანტველს ასწავლოს ფულის შენახვა და გარყვნილ კაცს პატიოსნება და თავის-შეკავება ჩააგონოს და მიაღებინოს. ამ თავისებაების მოპოვება კაცს შეუძლიან მხოლოდ თავისის საკუთარის ნიჭის ხმარებით და ვარჯიშობით, მხოლოთ თავისის ბეჯითი და დაუღგრომელი პატიოსანი მოქმედებით. ბამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფოს ღირსება და ძალა დამოკიდებულია თვითოეული პირების თვისებაზედ და არა სახელმწიფოს დაწყობილობაზედ, რადგანაც ხალხი შესდგება ცალკე პირებისაგან და ცივილიზაციის დანიშნულება ამ პირების განათლებაში და წარმატებაში მდგომარეობს.

სახალხო პროგრესსი თვითოეული პირების პატიოსნებაში, მხნეობაში და შრომის-მოყვარეობაში მდგომარეობს, და ნაციონალური ძლიერება არის შედეგი ამ კერძო პირების სიზარმაცისა, თვით-მოყვარეობისა და ბიწიერებისა. ის საზოგადო მოვლენაები, რომლებსაც ჩვენ ვკიცხავთ და ვეძახით უდიდეს საზოგადო წყლულს, ხშირად ჩვენი საკუთარი ურიგო ცხოვრებიდგან წარმოსდგებიან და რამდენიც უნდა ვეცადნეთ, რომ სჯულის შემწეობით ისინი მოვსპოთ, მაინც კიდევ ეს უბედურებანი გამოიჩენენ თავს ახალი ძალით, უკეთუ თვით ჩვენი ცხოვრება და ხასიათი თავის საფუძველში სრულიად არ გამოიცვლება. თუ ამ შეხედულებას მივიღებთ, მაშინ პირდაპირი ამისი შედეგი ის იქნება, რომ მამულის-მოყვარეობა და კაც-მოყვარეობა დამყარდება ხალხში უფრო კერძო პირების თავისუფალი და დაუმოკიდებული მოქმედებით, რომელსაც მიზნათ ექნება თავისი სიცოცხლის გაუმჯობესობა და გონების წარმატება, და არა სჯულის გამოცელით და სახელმწიფო დაწყობილების გაუმჯობესობით.

უველი ხალხის მმართებლობა არის გამოხატველი კერძო პირებისა. უკეთუ მმართებლობა თავისი აზრებით და მიმართულებით ხალხზედ მაღლა სდგას, ის მიუცილებლად ფრთებს დაუშვებს და გაუსწორდება მთელს ხალხს, და თუ ხალხს უკან ჩამორჩა, ის იძულებულ იქნება წინ წავიდეს და დროების მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. საზოგადო ხალხის ხასიათი გამოიხატება იმის მმართებლობაში და სჯულთ-დებაში. ქეთილშობილს ხალხს პატიოსნად მმართვენ და განაგებენ, ხოლო უგუნურს და წამხდარს—ამის წინააღმდეგ. თვითოეული ხალხის თავისუფლება დამოკიდებულია იმის პოლიტიკურზედ და ზნეობითს ხასიათზედ. ის არის კერძო პირების მხნეობის, ნიჭიერების და გამრჯელობის შედეგი.

გარეგანს კაცის მმართვას მცირედი მნიშვნელობა აქვს. უველაფერი დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ მიჰყავს კაცს თავისი თავი და თავისი მოქმედება. სწორეთ რომ ვსთქვათ, მონა იმას კი არ დაეძახება, რომელიც სხვის ბარბაროსობას ითმენს, მონა, ის არის, რომელსაც ვერ დაუძლევია თავისი საკუთარი უმეცრება, რომელიც ვერ შეჰბმია თავის ბიწიერს მიდრეკილებას ვნებას და სხვა და სხვა ქვეყნებში ყოფილან და ეხლაც არიან იმისთანა მამულის-მოყვარენი (პატრიოტები), რომლებიც მტარვალის მოკვლას თავისუფლებისთვის დიდ საქმედ რაცხვენ, მაგრამ ამათ ავიწყდებათ, რომ ეს მტარვალი არის სჯულიერი წარმომადგენელი იმ მილლიონი პირებისა, რომლებზედაც ის სუფევს. ის ხალხი, რომლის ხასიათიც არის პირუტყვობა, მონება და ქედ-მოხრილობა, თავის დღეში თავისუფლებას ვერ მიიღებს, თუნდ ათასჯერ გამოცვალეთ იმისი მმართებელი და სრული ცვლილება მოახდინეთ იმის ქვეყნის დაწყობილებაში; და ვინემდის ის ცრუ აზრი არსებობს, რომ თავისუფლება მმართებლობაზედ არის დამოკიდებული, მანამდის არაფითარს რეფორმას მკვიდრი და პრაკტიკული შედეგი არ ექნება, თუ გინდ თითონ რეფორმა საუკეთესო იყოს. თავისუფლების მკვიდრი საფუძველი კერძო პირების ხასიათზედ უნდა იყოს დამყარებული.

ამაჟედ არის დამოკიდებული ნაციონალური პროგრესი (წარმატება). აი რა შეადგენს ანგლიის თავისუფლების ძალას. ანგლიელებმა იციან, რომ ისინი არიან თავისუფალნი არამთუ მარტო იმისთვის, რომ ისინი ცხოვრებენ თავისუფალის დაწესებულების მფარველობის ქვეშ, არამედ იმისთვისაც, რომ ყოველს წევრს საზოგადოებისას კარგათ ესმის, თუ რა არის თავისუფლება; ამისგამო ისინი იცავენ თავის თავისუფლებას და ხმარობენ აზრის გამოთქმაშიაც. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ისინი ამ თავისუფლებას გამოხატვენ თავისი ცხოვრებით და ენერგიული მოქმედებით, რომელიც შეჰფერის თავისუფალს ხალხსა. მრავალ შთამომავლობას გაუწევია დიდი შრომა, მინამ ანგლია ახლანდელს მდგომარეობაში ჩასდგებოდა. ამ შრომაში ჰქონდა მონაწილეობა უკანასკნელს მცირედ შესანიშნავს პირსაც. უველის ფერი იყო ისე რიგათ წამართული, რომ ეს განზრახვა გაემართლებინათ. შრომის-მოყვარე და მომთმენი კაცები ყოველი წოდებისა—ყოველ გვარი მსწავლულნი, პოეტნი, ფილოსოფოსნი, სახელმწიფო კაცნი, უველანი ერთად შრომობდნენ. ერთი შთამომავლობა განაგრძობდა წინა-პირების შრომასა იმ აზრით, რომ შეიმუშაკონ საზოგადო ხასიათი ქვეყნისა და დაადგინონ მტკიცე საფუძველზედ ამ ქვეყნის კეთილ-მდგომარეობა. ამ ღირსეულის ლვაწლ-შემოსილის კაცების რიგმა დაადგინა წესი ხალისგან (დაუწყობელობისაგან.) ამ სახით ჩვენ დავიმკვიდრეთ ჩვენი წინაპრების შრომის ნაყოფი და ამასთანავე მივიღეთ მოვალეობა, რომ ეს სამკვიდრო ჩვენს შთამომავლობას გადავსცეთ არამცთუ გაფუჭებული, არამედ უფრო გაკეთებული.

ამ გვარი სული თვით-მოქმედებისა, რომელიც მიაჩვევს კაცს, რომ ჰქონდეს იმედი თავის საკუთარს ძალაზედ და რომელიც გამოიჩენს თავს კერძო პირების მხნე დადაუდგრომელ მოქმედებაში, არის ნიშანი ანგლიელების ხასიათისა და არის ზომა იმათი ნაციონალური ძლიერებისა. იმათ ყოველთვის ჰყვანდათ იმისთანა პირნი, რომელნიც უბრალო ხალხზედ მაღლა იდგნენ და რომელთაც საზოგადოება დიდს პატივსა სცემდა; მაგრამ აძასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ანგლიის ხალხმა არას დროს არ უნდა დაიდუმოს სხვა პირების ღვაწლიც, თუმცა ისინი არ ყოფილან ისეთ რიგათ შესანიშნავნი. ასე კიდევ რომელიმე ომის ისტორიაში მოხსენებულნი არიან გენარლები, და იმ სალდათების სახელი კი დავიწყებულია, რომელთაც თავისი გმირობით დასძლიეს მტერი და მიუმკვიდრეს მამულს თავისუფლება და თვითმყოფობა. სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ სალდათების ბრძოლას, რადგანაც უდიდესი მოქმედი (дѣятель) კაცები თითქმის დაბალი წოდებიდგან წარმოსდგებიან. ჩვენ ახლა არ ვიცით და არცკი გაგვიგონია სახელები მრავალი პირებისა, რომელთაც თავის სიცოცხლეში დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხის კეთილდღეობაზედ და იმის წარმატებაზედ. მაგრამ ეს არაფერია. რაც უნდა იყოს ქვეყნის ბედნიერებაზედ და კეთილ დღეობაზედ ყოველს კაცს აქვს გავლენა, რომელიც კი თავის შრომის მოყვარეობით და მაღალის სამართლით აძლევს სხვებს კეთილს მაგალითს; იმის ცხოვრებას და ხასიათს სხვანი შეითვისებენ და მომავალში ახალის შთამომავლობისთვის ნათელს კვალს დაარჩენენ.

ამას ესეც უნდა დაუმატოთ, რომ განათლებული და პატიოსანი პირების ცხოვრების აღწერა (ბიოგრაფია) მეტად სასარგებლოა სხვებისთვის, რადგანაც უბრალო კაცი იმათი მიხედვით გამხნევდება და კეთილ გზას დაადგება. ზოგიერთი იმათგანი ისე სამაგალითონი არიან, როგორც სახარების მქადაგებელნი, რადგანაც ესენი ასწავლიან ხალხს კარგს ცხოვრებას და ენერგიულს მოქმედებას თავისი და საზოგადო სარგებლობისთვის. ანგლიის ხალხში იპოვებიან მრავალნი იმისთანა პირნი, რომელნიც ჩვენთვის მაგალითები არიან, რადგანაც ისინი დაჯერებულნი იყვნენ თავის თავის ძლიერებაში, მუდამ ერთს მიზანს ეძლტოდნენ, დაუცხრომელათ მოქმედებდნენ და პატიოსნად ცხოვრებდნენ. ანგლიელი მშრომელი და პატიოსანი პირების ცხოვრებაში კაცს ნათლად დაინახავს, თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს კაცმა, რომ თავისი თავი წარმატებაში შეიყვანოს. იმათი ბიოგრაფიებიდამ ცხადათა სჩანს, რა ნაირი მტკიცე რწმუნება აქვთ იმათ თავის შეძლებაზედ და რა რიგი პატივისცემა თავის-თავისა. ამათი ბიოგრაფიების წამკითხველი კაცი სცნობს, რომ კაცს მარტო შრომით შეუძლიან ამაღლდეს საზოგადოებაში და პატივ—ცემელი გახდეს.

უცხო-ქვეყნელებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს ანგლიელების გასაკვირველს მხნეობას (ენერგიას), რომელიც შეადგენს მთელი ხალხის შესანიშნავს თვისებას, მხნეობას, რომელიც არ გაჰქრება სხვა და სხვა დაწესებულებაებში, არამედ დაიცავს სრულს თავისუფლებას აზრისას, სიტყვისას და მოქმედებისას. Que j'aime la hardiesse anglaise! Que j'aime les gens qui disent ce qu'ils pensent! ოჰ, როგორ მიყვარს ანგლიელების გამბედაობა! ოჰ, როგორ მიყვარან ის კაცები, რომლებიც ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ!"—აი რას ამბობდა ვოლტერი ანგლიელებზედ. ეს პიროვნება არის მიზეზი ანგლიელის თავისუფლებისა; ესვე განამკვიდრებს იმის თავისუფლებას. იმათი მხნე და გამრჯელი პირები ხშირად შეუდგებიან საზოგადო მოქმედებას და ამ სახით მთელი საზოგადოება გაცოცხლდება და ამ კერძო პირების დახმარებით შესრულდება ძლიერი და ენერგიული მოქმედება მთელი ხალხისა.

ანგლიელების უკეთესი პრაკტიკული აღზრდა მდგომარეობს კერძო პირების მხნეობაში, რომელიც არამთუ ერთგან ან ორგან მოქმედებს, არამედ მთელს საზოგადოებაში. შკოლები, აკადემიები და გიმნაზიები აძლევენ კაცს მარტო პირველს გახსნის თესლს. უფრო შესანიშნავია ის აღზრდა, რომელიც ჩვენ ყოველდღე გვეძლევა სახლში, ქუჩაში, სამუშაოებში, საფეიქროში და გუთანზედ, კანტორებში და ფაბრიკებში და ყოველს საზოგადო მოქმედების ცენტრში. ამ გვარი აღზრდა ანგლიელს მუშაობას ასწავლის და ამასთან აძლევს ღონისძიებას, რომ თავისუფალი კაცი გახდეს. დაბოლოებითს აღზრდას, რომელიც საზოგადოების წევრების ხასიათის გაუმჯობესობაში მდგომარეობს, შილლერი უწოდებს „კაცობრიობის აღზრდას." ამ აღზრდას კაცი ვერ შეიძინებს წიგნების კითხვით. ეს მდგომარეობს მოქმედებაში და თავის ყოფა-ქცევის თვალ-ყურის დევნებაში. ბეკონი ამბობს, რომ „მეცნიერება კაცს არ ასწავლის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ის კაცმა ცხოვრებაში. ეს შეადგენს განსაკუთრებითს ცოდნას, რომელიც ამაზედ მაღლა სდგას და სადაც მეცნიერებას არ მიუწვდება თავისი გავლენა: ეს მოიპოვება გამოცდილებით."—ეს აზრი მართალია. ბამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ კაცს უფრო მუშაობით შეუძლიან თავისი თავის გაუმჯობესობა, მინამ კითხვით, რომ კაცობრიობას განაახლებს უფრო ცხოვრება, მოქმედება და პირადი თვისება კერძო კაცებისა, მინამ ლიტერატურა, სწავლა და სხვა.

ბეტემ სთქვა: „თუმცა გასაკვირია, მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ ანგლიელები ყველა ხალხებზედ მაღლა დგანან. არ ვიცი, რაარის ამისი მიზეზი: იმათი შთამომავლობა, იმათი ქვეყნის ჰავა, თუ ის მრთელი აღზრდა, რომელიც იმათ ეძლევათ? აქ შეიმარში იპოვებიან ანგლიელები, და თუმცა იმათ არა აქვთ ამორჩეული ერთი რაიმე მიზანი, მაგრამ შეხედეთ რა მშვენიერი კაცები არიან! ჩვიდმეტის წლის ყმაწ-

ეილები უცხო-ქვეყანაში და ისინი არა რაცხვენ თავის თავს უცხო-ქვეყნელად. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოებაში იმათ უჭირავთ თავი პატიოსნად და მშვიდობიანად, თითქო ისინი თავის მამულში იყვნენ და თითქო მთელი ქვეყანა იმათ ეკუთვნოდეთ.“ „რაც უნდა იყოს, უპასუხა ეკერმანმა, მე მაინც ვერ დაგთანახმდებით, რომ ანგლიის ჯენტლმენები უფრო განათლებული და კარგის ზნეობისანი იყვნენ, მინამ ჩვენი ახალგაზდანი.“—„საქმე ამაში არ არის, მიუგო ბეტემ, სიკარგე ამაში არა მდგომარეობს. აგრეთვე არაფერს ნიშნავს მაღალი შთამომავლობა და სიმდიდრე,—საქმე იმაშია, რომ იმათ თავისის გამრჯელობით შეუძლიანთ ისეთები იყვნენ, როგორათაც თვით ბუნებას შეუქმნია. იმათ შეუსრულებელი არა აქვთ რა. ესენი სრული ადამიანები არიან;—თუმცა ბევრნი სრულიად უგუნურნი არიან, მაგრამ ამ უკანასკნელს მდგომარეობაშიაც კაცს მაინც არ ეკარგება თავისი მნიშვნელობა და ღირსება: იმას აძევს კაცობრიობის ნიშანი.“ ამ გვარათ, ბეტეს აზრით, ანგლიელი ახლოა იმ პირობასთან, რომელიც ლესსინგმა კაცის ადამიანობის ნიშნად და თვისებად დასდვა: „იფიქრეთ, როგორც გინდათ, თუნდა შეცდომით, მაგრამ იფიქრეთ თქვენ თავად.“

მეორე უცხო-ქვეყნელი მწერალი, ნემეცი ვიზე ადარებს ნემცების და ანგლიელების აღზრდის წესს და ჰპოვებს, რომ პირველი ცდილობს გონების გახსნას მოწაფეში, და მეორე კი ხასიათის გაწმენდას და გაუმჯობესობას. ის ჰპოვებს, რომ ანგლიელები უფრო უყურებენ ვინც უფრო ენერგიულათ ელტვის თავის მიზანს, ვისაც უფრო მომეტებული მოთმინება, დადგრომილება და თავისდაჭერა აქვს, მინამ მეცადინეობას სწავლაში სიჭაბუკის დროს. ერთი სიტყვით ანგლიელები ხასიათს უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევენ, მინამ გონებას, თუმცა იმათგან არც ეს არის სხვაზედ ნაკლებათ დავიწყებული.

მოვიყვანთ კიდევ ფრანცუზის რანდიუს სიტყვებს ანგლიის წესზედ. იმისი აზრით ეს წესი საუკეთესო გაწყობილებას აძლევს მთელს სოციალურს ცხოვრებას. იმას უკვირს, რომ ჩვენ პირად თავისუფლებასთან სხვებზედ უკეთესად ვემორჩილებით დადგენილს სჯულს და ენერგიულს კერძო პირების მოქმედებასთან, რომელიც ვერ აიტანს ცოტაოდენს შევიწროებას, ჩვენ ემოქმედობთ ისე, როგორც შეეფერება საერთო მოვალეობას. ფრანცია მომეტებულად საღდათებს და ჩინოვნიკებს ზრდის, მაშინ როდესაც ანგლია ყველას სრულს თავისუფლებას აძლევს, სქესის განურჩეველად, და ყველას მიანიჭებს თავის აღზრდის უფლებას, ამზადებს მოქალაქეებს, რომლებიც გამზადებულნი არიან პრაკტიკული მოქმედებისთვის. თუმცა შკოლებში და გიმნაზიებში ჩვენ შეგეხდება ზოგიერთნი ნიჭიერნი პირნი, რომელთაც ღრმა განათლება მიუღიათ, მაგრამ, ნაციონალური აღზრდის გამო, ჩვენა გვყვანან მრავალი იმისთანა პირნი, რომლებიც წარმოგვიდგენენ ძლიერის რასის (ტომის) ორს უდიდესს სიკეთეს: შეურყეველს თავის დაჭერას და სიმტკიცეს განზრახულის საქმის მიდევნაში.

ეს პირადი თავისუფლება და ენერგიული მოქმედება შეადგენს ჩვენი ნაციონალური ძლიერების მიზეზს, რადგანაც სული თავისუფალი მოქმედებისა მარტო ერთს წოდებაში კი არ იპოვება, არამედ ის არის გამჯდარი მთელი ხალხის ძვალსა და რბილში და უმეტესად ის გამოიჩენს თავის ძალას დაბალ და ღარიბ ხალხში.

მეცნიერნი, ხელოსნები და ლიტერატორნი—უდიდესი აზრების მქადაგებელნი—გამოვიდნენ ანგლიის ფერმებიდამ, შოტლანდიის მთებიდგან, სამუშაოებიდგან და მადნებიდგან, სამჭედლოდგან და სხვა ადგილებიდამ. ამის მაგალითები ისე ბევრია, რომ კაცმა არ იცის, რომელი ამოარჩიოს იქიდგან მაგალითისთვის. მოვიგონოთ მარტო ეს შემთხვევა, რომ სადალაქოდგან იყვნენ: რიჩარდ არკრაიტი, რომელმაც საფეიქრო (მაშინა) მოიგონა და დააფუძნა ბამბის მანუფაკტურები, ლორდი ტენტერდენი, რომელიც იყო შესანიშნავთაგანი ანგლიის მსაჯულებში და ტერნერი, სხვა და სხვა ლანდშაფტერის მხატვარი.

ნამდვილათ არ ვიცით, ვინ იყო შექსპირი, მაგრამ უეჭველია, რომ ის დაბალი კაცის შვილი იყო. შექსპირის მამა იყო ყასაბი და მეცხვარე. ამბობენ, ვითომც შექსპირი ერთს სკოლის მეკარეთ იყო, და მერე ნოტარიუსის მწერლათ. შექსპირი იყო გამომხატველი კაცობრიობის ცხოვრებისა. უველა ზღვის მწერალს (морской писатель) ეგონება, რომ შექსპირი იყო მეხომალდე, რადგანაც იმის პიესებში ბევრგან შეგვხვდება ფრაზები, რომელნიც ხომალდზედ იხმარებიან. სასულიერო წოდების პირს ეგონება, რომ ის დიაკვნათ ყოფილა, რადგანაც იმის თხზულებაებში ბევრი სამღრთო წერილის სიტყვები ურევია და გამოჩენილი მეცხენე დაიწყებს დამტკიცებას, რომ შექსპირი ცხენების დალალი იყო. უველამ იცის, რომ შექსპირი იყო აქტორი და თავის სიცოცხლეში ბევრი როლები უთამაშნია. ეჭვი არ არის, რომ ის ყურადღებით სწავლობდა და ბეჯითად მუშაობდა; იმის თხზულებაებს ანგლიელების ხასიათზედ აქამდე ძლიერი მოქმედება აქვთ.

ინჟინერი ბრინდლეი, ზღვაში მოსიარულე ძუკი და პოეტი ბერნსი ეკუთვნოდნენ ანგლიის მუშებს. ბენ ჯონსონი უბრალო ქვისმთლელი იყო. იმას საიურიდიკო სასწავლებლის აშენების დროს ხელში ნიჩაბი ეჭირა და ჯიბეში წიგნი ედვა.

შესანიშნავს დურგლებში ირიცხებიან: ხუროთ-მოძღვარი Иниго Джонс, Баррисонი, ფიზიოლოგი Джон Бетнери, ორიენტალისტი პროფესორი Ли, სკულპტორი Джон Джимсонი.

მათემატიკოსი Симпсонი, Адам Уокери, Джон Форстери, ღირსად-შესანიშნავი მოგზაური და მისიონერი დოქტორი Ливингстонი და პოეტი Танагилли უწინ ფეიქრები იყვნენ. მებაშმაკეებში იყვნენ შესანიშნავნი: ადმირალი Шовели, მსწავლული Стерджени, მოგზაური Керი; შრომის-მოყვარე მისიონერი Моррисонი ჩექმების კალაპოტებს აკეთებდა. აგრეთვე Томас Эдвардси პირველათ ხარაზი იყო, მაგრამ როცა კი მოცალება ჰქონდა, ისა სწავლობდა ბუნებითს საგნებს და ბოლოს შესანიშნავი ბუნების გამომძიებელიც გახდა.

მკერვლებსაც ჰყვანდათ თავისი გამოჩენილი კაცები: ადმირალი Бобсонი იყო დიდათ გამბედავი ზღვაში-მოსიარულე; Англиაში ბევრი ვერავინ შეედრება იმას გამბედაობაში. Ის ებარა შეგირდათ ერთს მკერავს, Уатის კუნძულზედ; ერთბაშათ იმის სოფელში მოვიდა ხმა, რომ კუნძულის კიდეებთან სდგას სამხედრო ესკადრა. Ის გამოვარდა დუქნიდამ და გაიქცა თავისის ამხანავებით ზღვის ნაპირთან, რომ თვალი მაინც მოეკრა ამ საკვირველის სანახავისთვის. Ამ პაწაწა მკერავმა მოიწადინა, რომ ზღვის მოხელეთ გამხდარიყო. Ის გადახტა გემზედ, გაეშურა ესკადრისკენ და გემის კაპიტანმა ვოლონტერათ აიყვანა. რამდენისამე წლის განმავლობაში იმან დაიმსახურა პატივი და დიდება და შემდეგ მობრუნდა ისევ სამშობლო სოფელში და მშვიდობიანათ დასახლდა იმავე სახლში, სადაც ის უწინ სცხოვრებდა, როდესაც მკერავს შაგირდათ ებარა.

იმ შესანიშნავი კაცების რიცხვში, რომლებმაც გამოიგონეს ორთქლის მაშინა, ჩვენ მოვიხსენებთ ნიუკომენს, Уატტს და სტეფენსონს. პირველი ამათგანი იყო მჭედელი, მეორე მათემატიკურს იარაღებს აკეთებდა და მესამე კაჩეგარის (*) თანამდებობას ასრულებდა. მქადაგებელი Бентინდონი პირველათ გროშათ იყო (ე. ი. იმას ნახშირი დაჰქონდა აქეთ იქით გასასყიდათ). Фарадеი, ღარიბი მჭედლის შვილი, სიყმაწვილეში წიგნის ყდის გადამკვრელს ებარა და იქ 22 წლამდე მუშაობდა და შემდეგ შესანიშნავ ფილოსოფოსათ გახდა.

დიდი ხანი არ არის, რაც Роджერიგ Мурჩისონი შეხვდა შოტლანდიაში ერთს კარგს გეოლოგს, რომელიც პურის მცხობლათ იყო. Ამ კაცის სახელი არის Робертი Дикი. როდესაც Мурჩისონმა ნახა იმისი თონე, დიკმა გამოუხატა იმას ფქვილზედ გეოგრაფიული და გეოლოგიური სახე საგრაფოსი, რომელშიაც ის სცხოვრებდა. Ამასთან Дикმა დაუწუნა ქარტები და ბევრი ნაკლულევანება ჰპოვა იმათში, რადგანაც იმან კარგათ განისწავლა საგრაფოს ადგილ—მდებარეობა თავის წასვლა—მოსვლაში. Мурჩისონმა დაუწყო გამოკითხვა სხვა და სხვა ამბებისა, და ბოლოს შენიშნა განცვიფრებით, რომ ეს პირი იყო წარჩინებული ბოტანიკოსი. „მე ვპოვე, ამბობს გეოგრაფიული საზოგადოების დირექტორი, რომ ამ პურის მცხობელს უფრო ბევრი ბოტანიკური ცნობები ჰქონდა, მინამ მე. Იმის კოლლექციას აკლდა მარტო 20 ან 30 სხვა და სხვა ყვავილების ჯინში. ზოგიერთი იმისთვის სხვას ეჩუქებინა, ზოგი ეყიდნა და უმეტესი ნაწილი თითონ შეეკრიბა თავის სამშობლოში;—ყვავილები ეწყო რიგზედ და ყველას თავისი სახელი ჰქონდა დაწერილი.“

ჩვენი ქვეყნის დიდებას შეადგენს ის, რომ აქ იპოვებიან მრავალი ამისთანა პირნი, ბევრნი იმათგანნი, მართალია, ძალიან დიდათ არ არიან შესანიშნავნი, მაგრამ ყველა კი დანდობილია თავის ნიჭზედ და ძალაზედ. Ამ გვარი კაცები წარმოგვიდგენენ სასიამოვნო და პატიოსანი მოქმედების მაგალითს. Ეს გვიჩვენებს, რა შეუძლიან კაცს თავისის მცირედი ღონით და ნიჭით, თუ ის მიჰმართავს ერთს წინათვე ამორჩეულს მიზანს და ყოველს დროს მხედველობაში ექნება. Ბუნების მოვლინებანი არ არიან დაფარულნი არც ფილოსოფოსისთვის, არც ხელოსანისთვის და არც გლეხისთვის. Იმათ შეუძლიანთ ესენი გამოიყენონ თავისი გონების გახსნისთვის. Ამ გვარათ მშრომელს კაცებს, თუნდაც ისინი უბრალო ხელობისანი იყვნენ, შეუძლიანთ საზოგადოებას სარგებლობა მისცენ.

ანგლიის ხალხში ბევრნი არიან იმისთანა პირნი, რომლებიც თავის დაუცხრომელის შრომით ამაღლდნენ მთელს საზოგადოებაში და ასასარგებლონი გახდნენ. თუ კარგათ დავაკვირდით საქმეს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ვინც უმაწვილობიდამვე შეებრძოლება სხვა და სხვა უსიამოვნო გარემოებაებს და უშიშრად გააპობს ყოველს გვარს დაბრკოლებას, რომელიც კი იმას გზაში დახვდება, ის უეჭველად მოიპოვებს მტკიცე და შეურყეველს ხასიათს და საფუძვლიანს გონების გახსნას. ანგლიის ქვემო პალატაში ყოველთვის იპოვებიან იმისთანა პირები, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ანგლიელები შრომის—მოყვარენი არიან. ერთხელ პარლამენტში Иოსებმა Брეевერტონმა დიდის აღტაცებით უამბო თავის მსმენელებს, თუ რა რიგი ნაკლულევანება და შრომა გამოუყვლია თავის სიყმაწვილეში. Იმანა სთქვა, რომ, როდესაც ის იყო ამ შრომაში და გაჭირვებაში, სწორეთ მაშინ გაუელა თავში, რომ მუშების მდგომარეობა გააუმჯობესოს, რითაცკი შეიძლებოდეს. შემდეგ ამისა Ჯემსმა Брაგამ გამოაცხადა, რომ იმან სრულებით არ იცოდა თუ Брეевერტონი ესე დაბალი კაცის შვილი იყო და ეხლა კი ყოველთვის იამპარტაენებს იმ აზრის წარმოდგენით, რომ ასე დაბალი ხარისხის კაცს ნება აქვს მოუყვდეს გვერდით Ანგლიის მემკვიდრეობითს აზნაურობას.

რასაკვირველია ეხლაც არიან იმისთანა ქვემო პალატის წევრნი, რომლებსაც შეუძლიანთ ჩაუთონ სიტყვაში: „როდესაც ვებარე ფეიქარს.“ მაგრამ სჯობს, რომ მოკლეთ გიამბოთ ცხოვრება გამოჩენილი Линდსეისა, რადგანაც იმისი ცხოვრება არის ისტორია ბრძოლისა სხვა და სხვა დაბრკოლებაებთან.

(*) Კაჩეგარი ის პირია, რომელიც ბუხრებს ცეცხლს უკეთებს ზავოდებში, ცეცხლის-გემებში და სხვ.

თავისი ცხოვრება იმან თითონ უამბო შემდეგ შემთხვევის ამომარჩეველებს. Ის 14 წლის ღარიბი იყო, როდესაც უნდა მოეწყო თავისთვის მოქმედების გზა. Ბლაზგოვიდამ Ლივერპულს 4 შილლინგით და ცოტაოდენის წვრილის ფულით წავიდა. Ის ისეთი ღარიბი იყო, რომ ცეცხლის—გემის კაპიტანს ძალიან შეებრალა და უთხრა, რომ უფასოთ წაიყვანს, ოღონდ იმან ნახშირს უპატრონოს. Იმან ეს მინდობილება აღასრულა და ამ სახით გადაიხადა თავისი ვალი. Ლინდსეი ბოლოს იგონებდა ხოლმე, რომ იმას თავის დღეში ისეთის სიამოვნებით არ უჭამია პური, როგორც იმან ხომალდზედ ჭამა, რადგანაც ეს თავისი შრომით მოიპოვა. Ლივერპულში Линდსეიმ შვიდი კვირის განმავლობაში საქმე ვერ იშოვნა. Ის დღითი დღე რის ვაი ვაგლახითა სცხოვრებდა. Იმას ებადა 4½ შილლინგი და ძლივს ბოლოს ის განწესდა მეგემეთ ერთს ხომალდზედ, რომელიც ეკუთვნოდა ვესტ-ინდოელ ვაჭარს. Ის ჯერ ყმაწვილი იყო, როცა განწესდა ზღვის სამსახურში და როდესაც ცხრამეტი წლისა გახდა, იმას ჩააბარეს ერთი ხომალდი, რომელზედაც იმას თვალ-ყური უნდა სჭეროდა. Ოცდა სამი წლისამ იმან დაიანება ზღვას თავი და ისევ ხმელეთზედ დასახლდა. Линდსეიმ კეთილცხოვრებამდის მიახწია თავისის დაუღალავის მოქმედებით და მუყაითი შრომით. Იმასა ჰქონდა ერთი განზრახვა, რომ სხვის სიკეთისათვის ისე თავ-გამოდებით ემოქმედნა, როგორათაც თავის ბედნიერებისთვის და ამას ყოველთვის აღსრულებდა.

Ამნაირი მაგალითები სხვა Ანგლიის წოდებაებშიაც ბევრი იპოვება. Საშუალო კლასიდამ ბევრი გამოჩენილი პირი გამოსულა, რომელთაც თავი უსახელებიათ მეცნიერებაში, ვაჭრობაში და ხელოვნებაში. Ისაკ Ნიუტონი, დიდი Ანგლიის ფილოსოფოსი, იყო ერთი მცირე მემამულეს შვილი. Იმის მამულს წელიწადში მარტო ოც და ათი გირვანქა სტერლინგი შემოსავალი ჰქონდა. Ამავე წოდებისა იყო ვარსკლავთ-მრიცხველი Адамსი, რომელმაც ცთომილი ნეპტუნი იპოვა. Იმისი მამა იყო ღარიბი მიწის-შემამუშავებელი.—Რიჩარდ Ოუენი, რომელიც ბუნების მეცნიერების ცოდნაში, შეიძლება Ნიუტონს შევადაროთ, იყო პირველათ გარდემარინი და კარგა გვიან დაიწყო მეცნიერების შემუშავება; მაგრამ Ოუენი ისე ბეჯითათ შეუდგა საქმეს, რომ დიდი სახელი დაიმსახურა. პირველად თავისი ცნობები მოიპოვა მაშინ, როდესაც იმას მიანდეს, რომ მშვენიერს ცხოველების მუზეუმში კატალოგი შეედგინა, რომლებიც შეკრიბა Ჯონმა Მეტნერმა.—ამ საქმეს Ოუენი ათ წელიწადზედ მეტი მოუნდა.

Ეს მაგალითები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ თუ კაცს უნდა ხალხის კეთილდღეობა და თავის გაბედნიერება, იმან ბეჯითად და დაუდგომელათ უნდა იშრომოს.—სიზარმაცე თავისდღეში კაცს ვერ აამაღლებს. Დიდი კაცის შვილებმა და მდიდრებმაც უნდა ენერგიულათ იმუშაონ, რომ მტკიცე რეპუტაცია და სახელი მოიპოვონ, რადგანაც ისინი მემკვიდრეობით მიიღებენ მარტო სიმდიდრეს, და არა ცოდნას და ჭკუას. მდიდარს კაცს შეუძლიან სხვა ვინმე იქირაოს თავის საქმის წასამართავათ, მაგრამ ჭკვასა და ცოდნას კი ვერაფრით ვერ იყიდი; ის მხოლოდ შრომით მოიპოვება და არა ფულებით. Ამისგამო ღარიბმა და მდიდარმაც ერთგვარათ უნდა იშრომონ, რომ წარმატებაში შევიდნენ.

Გონების გახსნა კაცს მარტო თავისი საკუთარის თავისუფალის შრომით შეუძლიან მოიპოვოს. Შამისოთ გამარჯვება არ შეიძლება. Კაცს სადაც არა დაუთესია რა, იქ ვერცა რას მომკის.

კერძოლებითი განცხადება.

Ისყიდება მიწა, რომელიც მდებარებს მისის უმაღლესობის სასახლესა და პოჩტის სამმართველოს შენობას შუა. Ეს მიწა ოთხ ნაჭერად განიყოფება. Visაც ჰსურს, იმას შეუძლიან იყიდოს ეს მიწა ან სულ ერთიანად, ან ცალკ-ცალკე თითო ნაჭერად. Visაც ფასის შეტყობა ჰსურს, იმან იკითხოს ამაზედ კალონიაში, შანშიევის სახლში, თავ. Ა. დ. Აფხაზიშვილისას.

რუსის მაღაზიისაგან.

Ბამბის გაიაფების გამო, ბამბის საქონელი: ჩითი, ლანკორტი, კისეია სხვა და სხვ უწინდელზედ უფრო იაფად იყიდება.

შევაჭრება ფასში არ შეიძლება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го мая 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ზ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.